№ 28

კვირა, 7 თებერვალი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 28

კვირა, 7 თებერვალი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1 ამა თებერვალს გარდაიცვალა ახერნში ქვრივი კავკასიის ნამესტ-ნიკად ყოფილის გენერალ ფელდ-მარშალისა, კნეინა

**ელისაბედ დიმიტრის ასული ბარიათინსკისა.**

ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ განსვენებულის ბიძაშვილნი კნეინა **მარიამ ვახტანგის ასული** და თავ. **ნიკოლოოზ ვახტანგის ძე ჯამბაკურ ორბელიანები**, რომ წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქმნება სიონის ტაძარში, ორშაბათს, 8 თებერვალს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (2—12—2)

**ქართული თეატრი**

კვირას, 7 თებერვალს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან ქ-ნ **ეფ. მესხის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

**კონსტანტინე ბატონიშვილი**

ისტორ. დრამა 5 მოქმედ. თხზ. ა. ყაზბეგისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

ხუთშაბათს, 11 თებერვალს, დანიშნულია ბენეფისი ქ-ნ ეფ. მესხისა.

გაზეთ „კავკასის“ კანტორაში
ისყიდება
რუსული ახალი წიგნი

**ნორ-ქალაქ**

(ბინოკლისა)

წერილები უნებურად ორ-ცოლიანისა და საზოგადოდ გაუფრთხილებელის კაცისა

**ფასი 1 მან.**, გაგზავნით ფოსტით 1 მ. 25 კაპ. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ 25%.

ამ გამოცემის წმინდა შემოსავალი დანიშნულია გამოსახლებულთა სასადილოსთვის ტფილისში.

(2—მ.—2)

ნოტარიუსის

**ლევან მღებროვის კანტორა**

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში, № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში. ტელეფონი № 620. (30—6.—10)

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ხაგასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პრიტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ზ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница** *Д-ра Навасардiана.*

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.** (—1—წ)

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ სამსახურის შესრულებისა გამო ტიტულიარნი სოვეტნიკობა: ქუთაისის სამაზრო ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს კიზირიას; ტფილისის სამაზრო მომრიგებელ სასამართლოს მდივანს ისაკაძეს; კოლეჟსკი სეკრეტრობა ტფილისის მომრიგებელ სასამართლოს მდივნის თანაშემწეს მახვილაძეს; ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელეს ნაკაიძეს; გუბერნსკი სეკრეტრობა—ფოთის მომრიგებელ სასამართლოს მდივნის თანაშემწეს კანდელაკს.

დათხოვნილ იქმნა თავისისავე თხოვნით განჯის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელე მახვილ მძინაროვი.

---

**† საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ფელიქს ფორი.**

დეპეშამ სამწუხარო ამბავი ამცნო ქვეყნიერებას: 5 იანვარს, ღამის 10 საათზედ, წვეთის დაცემით გარდაიცვალა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ფელიქს ფორი. ფორს იმდენად პატივს სცემდნენ შინა და გარეთ, რომ მისი ასე მოულოდნელად გარდაცვალება ბევრს დაალონებს როგორც საფრანგეთში, ისე სხვაგანაც. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან გლადსტონის შემდეგ ევროპაში არ დარჩენილა არც ერთი სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც იმდენი პატივისმცემელი ჰყოლოდეს, რამდენიც ფორს. იგი უნებლიედ იზიდავდა ყველას სიყვარულსა და თანაგრძნობას, და მისის სახელის გაგონების დროს ყველას თვალ წინ ესახებოდა უოკლოდ პატიოსანი და კეთილ-გონიერი კაცი. ასე გასინჯეთ, ეხლა, როდესაც საფრანგეთში ერთი მეორეს აღარავინ ინდობს დრეიფუსის საქმის გამო, როდესაც ქვეყნის უმაღლესი სამოსამართლო დაწესებულებაც-კი არ დასტოვეს ცილ-დაუწამებელი, ფელიქს ფორის წინააღმდეგ რისამე თქმა ვერავინ ვერ გაჰბედა.

ფორი ეხლა 56 წლის კაცი იყო. რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქმნა იგი 1895 წლის 6 იანვარს, შარლ დიუპუის მინისტრ-პრეზიდენტობის დროს, კაზიმირ პერიეს ნაცვლად,

---

**ვმ. იოანე ღვთის-მეტყველის ეკკლესიის** (ვერაზედ) **სამზრუნველო** იწვევს ყველას, ვისაც ჰსურს იკისროს **ახალის ეკკლესიის აგება**, სრულად ან რომელისამე ნაწილისა, ძველის ეკკლესიის მახლობლად. გეგმის, ხარჯთ-აღრიცხვის და პირობების გასინჯვა შეიძლება სამზრუნველოს საბჭოს თავმჯდომარეს **ა. ს. ფრენკელთან** (გრიბოედოვის ქუჩა № 33) ყოველდღე: დილით—8-დგან 10 საათამდე, საღამოთი—5-დგან 8 საათამდე. ვადა, როდემდისაც მსურველთ უნდა შემოიტანონ დაბეჭდილს კონვერტებში ჩადებული განცხადება, დანიშნულია 1899 წლის **21 თებერვალი შუადღის 12 საათამდე.** განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს ფასი მუშაობისა და საქონლისა. კონვერტებზედ უნდა ეწეროს: **„ეკკლესიის აშენების შესახებ“.** ვისაც პირადად მოლაპარაკება ჰსურს, უნდა გამოცხადდეს საბჭოს კრებაზედ 1899 წლის 21 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ. 3—6.—1)

---

# ფელეტონი

---

**ს ი მ ღ ე რ ა**

(ვუძღვნი მასვე)

ანგელოზო ხორც-შესხმულო,
ჩემ სიცოცხლედ გარდმოსულო,
მუხლთა ვიდრეკ შენს წინაშე,
რომ ლოცვები შევასრულო.
სანთლად გიძღვნი მკნესარე გულს,
საკმეველად-დატანჯულს სულს
და ზედაშედ, აიაზმად—
ჩემს წრფელს ცრემლს და ჩემს სიყვარულს..
მსხვერპლი წმიდა, თუმცა მცირე,
მიიღე და შეიწირე,—
მიწყალობე თანაგრძნობა
ცოცხალს... მკვდარი დამიტირე.
რაცა მტანჯე, ის მაკმარე,
შემიბრალე, მანეტარე,
მიიბარე გული ჩემი
და სანაცვლოც მომაბარე.
ნუ შეგაკრთობს ენა ხალხის,
ნურცა ბრუნვა კანონთ ჩარხის:
სიყვარული უკვდავია,
სხვა—იცვლება და იმარხვის.
მხოლოდ გრძნობათ სანატრს წყარო!,
სასიცოცხლოს, სანეტაროს
მიჯნურთ აძლევს სიყვარული
და უმკვიდრებს საპაღნაროს...
მაშ ჩემს ღმერთად გარდმოსულო,
ანგელოზო, ნაზო სულო,
გთხოვ... გაფიცებ მძლე სიყვარულს,
ჩემი ნუკვა აღმისრულო!..

გრ. აბაშიძე

---

## ქუთაისის დღიური ვარამი.

წაიკითხავდით ანგარიშს ქუთაისის საბჭოს უკანასკნელ კრებისას. საბჭოს სარჩიელი ჰქონდა თავისის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. შემოსავალი მცირე გვაქვს და მორიგი ხარჯი ვერ გაგვისტუმრებია. რითი ვუშველოთ ჩვენს თავსაო. მეტი გზა არ არის, ან უნდა ჯამაგირები მოვუკლოთ წვრილმან მოხელეებსა და ან სრულებით გავაუქმოთ ზოგიერთი დაბალ ხარისხის ადგილებიო.

როცა საზოგადო მართვა-გამგეობაში ამისთანა აზრი დატრიალდება, აშკარაა, რომ საქმე უკიდურესობამდე მისულა. ასეთს გარემოებაში დიდი სიბეცე ჰმართებს დაწესებულებას, დიდი წინდახედულობა და შორს გამჭვრეტელობა, რომ პირნათლად შეჰრჩეს თავისს თავს და არ უმტყუვნოს თავისს დანიშნულებას. ვითომ რა ანგარიში უნდა დაიჭიროს ქალაქის კასაში წვრილმან მოხელეთა ჯამაგირების შემცირებამ. ამისთანა მოხელეთა შენახვა საბჭოს უნდა დაუჯდეს ბევრი-ბევრი სამასიოთხასი თუმანი წელიწადში. ჯამაგირების განახევრება ხომ შეუძლებელია. რაც უნდა ბევრი ივარჯიშოთ, ერთ მეოთხედზე შორს ვერ წახვალთ. მაშასადამე, ამისთანა შეუწყნარებელმა ოპერაციამ უნდა შეჰმატოს ქალაქის ჯიბეს სულ ასი თუმანი და ისიც მხოლოდ გარეგნად, ამიტომ რომ მეოთხედ ჯამაგირ მოკლებული მოხელე უკანასკნელად ნახევარზედ მაინც შეამცირებს შრომას, რადგან აუცილებლად უნდა დაეკარგოს მას ხალისი მუშაობისა. ამ სახით, თუ ეხლა ეს საცოდავი მოხელენი ოთხასის თუმნის საქმეს უკეთებენ ქალაქს, დაკლების შემდეგ აიღებენ სამას თუმანს და საქმეს-კი ძლივს ორასის თუმნისას გაუკეთებენ ქალაქსა, ე. ი. თუმცა ერთის შეხედვით კასას თითქო შეემატება ასი თუმანი, მაგრამ, როდესაც საქმეს გულიანად გაჰსინჯავთ, აღმოჩნდება, რომ ნამდვილად ქალაქი იზარალებს წელიწადში ორას თუმანს, ამიტომ რომ ნახევარი საქმე გაუკეთებელი დაჰრჩება.

ასეთსავე მოგებას, ანუ სწორედ რომა ვსთქვათ, ასეთსავე ზარალსა ჰნახავს ჩვენი ქუთაისი იმ შემთხვევაშიაც, როდესაც შეუდგება მოხელეთა ზოგიერთ ადგილების გაუქმებას. ეს აშკარა ჭეშმარიტებაა. მის დამტკიცებას არც ლარი ეჭირვება და არც ხაზი. საქმეს გამკეთებელი უნდა და გამკეთებელს ჯამაგირი. რაც პირიანად დააჯილდოვებთ მშრომელს, მით გაკეთებული საქმე ბარაქიანიც იქნება და კარგის ღირსებისაც.

*
* *

წარმოვიდგინოთ ცოტას ხნით, რომ ასეთი ოპერაცია არც ღირსებას ავნებს საქმისას და არც მისს რაოდენობას შეამცირებს. მერე ძირს რა უნდა დაჰრჩეს ქუთაისს?—რაღაც ორასი თუმანი. მერე მაგ ორას თუმნით რა მალამო უნდა იშოვნოთ და ან რომელ იარას დაადოთ, რომ ქალაქის კეთილდღეობას შეემატოს რამ. რა არის ორასი თუმანი ქალაქისთვის, რომელსაც არა აქვს არც რიგიანი ქუჩები, მოკირწყლული და განათებული, არა აქვს უვნებელი და სუფთა წყალი, არა აქვს თავისი სკოლები, ბიბლიოთეკა, სამკურნალო და სხვა ათასი დაწესებულება, რომელიც იზიდავს თავისკენ ხალხსა და რომელიც აძლიერებს ქალაქის შეძლებას და უმაგრებს მას ზურგსა. განა ღირს, რომ ამისთანა მცირე თანხისათვის, რომელიც ვერც ერთს იარას ქალაქისას პირს ვერ შესწმენდს, გაუმკლავდეს საბჭო თავისსავე მოხელეებს და ისიც მცირე ადგილებიანებს; არა, ამ გზით ვერც ერთი საბჭო შორს მანძილს ვერ გაივლის, პირ-იქით დიდს განსაცდელშიაც ჩაავდებს თავისს სვე-ბედსა. ქალაქების კეთილდღეობა ასეთს თხელ საძირკველზედ არსად არ აშენებულა და არც ქუთაისს აშენდება. ამგვარ

რომელმაც სამსახურს თავი დაანება. პრეზიდენტობის კანდიდატებად, ფორის გარდა, დასახელებულნი იყვნენ ვალდეკ-რუსო და ბრისონი, მაგრამ რადგან პირველმა უარი განაცხადა, კენჭი უყარეს ფორსა და ბრისონს; პირველს ამოუვიდა 428 თეთრი კენჭი, ხოლო მეორეს 366. არჩევანების შემდეგ, ფორმა შემდეგის სიტყვებით გადაუხადა მადლობა კონგრესს:

„იმ დიდს მოვალეობასა და თანამდებობას, რომელიც დღეს თქვენ მაკისრეთ და რომელსაც დიდის გულწრფელობით ვკიდებ ხელს, თუმცა მგზავსი მოვალეობა მძიმე პასუხის-გებასაც მავალებს, სრულიად არ ვემებდი. ამ მოვალეობის ღირსეულად აღსრულებისათვის მოვიხმარებ მთელს ჩემს მხნეობასა და თავგამოდებითაც ვემსახურები. დღეიდგან მე აღარა ვარ ერთის რომელისამე დასის თანამოაზრე, არამედ სხვა-და-სხვა დასის ერთმანეთთან შემაერთებელ ხიდად გარდავიქმენ. ამ აზრით მივმართავ რესპუბლიკელთ, აზრთა სხვა-და სხვაობის განურჩევლად, ერის ყველა წარმომადგენელს და ვთხოვ, ყველამ ერთნაირი დახმარება აღმომიჩინოს საერთო კეთილდღეობის დასამყარებლადაო“.

ფორი მტკიცედ ადგა ამ სიტყვებს. იმ დღიდგან მოკიდებული უკანასკნელ სიცოცხლის ჟამამდე ერთხელაც არ უღალატნია ამ გზისათვის. იგი რესპუბლიკის ყველა დასს ერთნაირის ნდობით ეპყრობოდა და ერთი მაგალითიც არა ყოფილა, რომ კანონისაგან მინიჭებულს უფლებას გადასცილებოდა და რომელისამე სამინისტროს საქმეში ჩარეულიყო. დიდი უბედურება არის საფრანგეთისათვის ასეთის კაცის დაკარგვა, მეტადრე ეხლა, როდესაც ასეთს განსაცდელშია საფრანგეთის ერი დრეიფუსის საქმის გამო. მაგრამ იმედია, კეთილ გონიერება დიდებულის ერისა დასძლევს ყოველ გვარს დაბრკოლებას და პრეზიდენტად ისეთს კაცს აირჩევს, რომელიც თავისის წინამოადგილის გზას არ დაავდებს და ამით იხსნის საფრანგეთს განსაცდელისაგან...

ლ.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 7 თებერვალს, მწუხრის შემდეგ, ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში წარმოთქმული იქნება საეკკლესიო საუბარი ქართულს ენაზედ ამავე ტაძრის მღვდლის მამა გრ. გამდლიშვილის მიერ შემდეგის სათაურით: „ქართველების მომზადება ქრისტიანობის მისაღებად“. მწუხრზედ იგალობებს სემინარიის მოწაფეთა ქართული გუნდი.

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა ნება დართო კავკასიის სტიპენდიები დაენიშნოთ შემდეგ სტუდენტებს: ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტს სამსონ სახოკიას, სამთო ინსტიტუტის სტუდენტს ალ. კინშინს, მოსკოვის საიმპერატორო სატეხნიკო სასწავლებლის სტუდენტს გ. ჩხეიძეს და სამოქალაქო ინჟენერთა ინსტიტუტის სტუდენტს ფელიციან ხაინაცკის.

*** მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ კავკასიაში გამოგზავნილ იქმნება სამინისტროს მოხელე ბ-ნი ვიტმერი იმის გამოსარკვევად, თუ როგორ უნდა იქმნას მოწყობილი ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე. ბ-ნ ვიტმერს ტფილისს აპრილში მოელოდებიან.

*** მიწად-მოქმედების სამინისტრომ მიანდო ართვინის ზეთის ხილის სანერგის გამგეს ეცადოს და გაავრცელოს ხალხში ცნობები ამ მცენარის მოყვანა-მოშენების შესახებ.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატას გუშინ, 6 თებერვალს, უნდა განეხილა საქმე აზნაურის დ. კეზელისა და გლეხის მახარაშვილისა, რომელთაც აზნაურის შამურიშვილის მოკვლა ბრალდებათ, მაგრამ წევრის მომხსენებელის ავადმყოფობისა გამო პალატამ ეს საქმე ხუთშაბათ, 11 თებერვლისათვის გადასდო. სასამართლოს მატიანეს ამ საქმის შესახებ თავისს დროზედ დავბეჭდავთ.

*** ორშაბათს, 8 თებერვალს, ტფილისის ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველად, სხვათა შორის: 1) მოხსენება ქალაქის გამგეობისა ეტლისა და ცხენების შეძენის შესახებ გადამდებ სენით ავადმყოფთათვის; 2) წინადადება ტფილისის გუბერნატორისა და მოხსენება ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორისა იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი იქმნა მიღებული შავის სახადის წინააღმდეგ და 3) წინადადება ტფილისის გუბერნატორისა იმის შესახებ, რომ აშორებულ იქმნას ის ნაკლი, რომელიც კავკასიის მთავარ-მართებელმა გაიგო ქალაქის საქმეების რევიზიიდგან, და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქის გამგეობას ხაზინაში დროზედ არ შეაქვს სახელმწიფო გარდასახადი.

*** დღეს, 7 თებერვალს, ტფილისის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია სიღნაღში წავა საქმეების განსახილველად. სესსია იქ 20 თებერვლამდე დაჰყოფს.

*** ჩვენ გვთხოვენ ქართულის დრამატიულის საზოგადოების კომიტეტის ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ქართულ წარმოდგენების დროს დიდად შეწუხებულნი არიან თურმე სცენის პირდაპირ გამართულ ზემო ლოჟებში მყოფნი იმ მოსწავლეთაგან (მოსწავლენი-კი არიან?), რომელთაც დაკლებულ ფასად ეთმობათ ადგილები ამ ლოჟების უკან. ეს მოსწავლენი მეტად უმართებულოდ იქცევიან თურმე, ყვირილი და ყიჟინი გააქვთ და უშლიან ლოჟებში მყოფთ გულ-დადებით ცქერასა და მოსმენას წარმოდგენისას. კარგს იზამდა დრამატიულის საზოგადოების კომიტეტი, რომ ამ ადგილას აწ მოწეს-რიგე დააყენოს, რათა უწესოების ჩამდენთ აღუკრძალოს თეატრში ყოფნა და ან სულ აღარ გაჰყიდოს ამ ადგილის ბილეთები.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს განკარგულება მოახდინოს იმის შესახებ, რომ შეკეთებულ იქმნას ალბულახის გზა.

*** ქ. ტფილისის მე-3 ნაწილის ბოქაულმა აცნობა ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ რამდენჯერმე ვთხოვე ქალაქის გამგეობას, — ტეხნიკოსი გამოგზავნეთ ძველის სახლების დასათვალიერებლად-მეთქი, მაგრამ გამგეობამ არც ერთხელ არ აასრულა ჩემი თხოვნაო.

*** გაზეთების სიტყვით, ხელახლა აღუძრავთ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ამიერ კავკასიის იმ ადგილში, სადაც უფრო გავრცელებული ვაჭრობა-მრეწველობა, გაძლიერებულ იქმნას პოლიცია.

*** ერევნის გუბერნიის ქ. ნახიჩევანიდგან სწერენ „მშაკს“: ადგილობრივმა მაზრის მკურნალმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს მას დააარსოს ქ. ნახიჩევანში პირველი კერძო სამკურნალოო.

*** „ახალ. მიმ.“-ს სწერენ სოხუმიდგან: 24 იანვარს აქ კრება ჰქონდა ახლად დაარსებულ სამეურნეო საზოგადოებას. ამ კრებაზედ საზოგადოებამ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება დართოს წელიწადში ორჯელ სოხუმში იარმუკა გაიმართოს ხოლმე. კრებამ დღესაც დანიშნა იარმუკის გასამართავად: 10 მარტი და 15 სექტემბერი, ე. ი. ისეთი დრო, როდესაც სოფლის მცხოვრებნი არ შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ, რადგანაც ამ დროს გაცხარებული მუშაობაა ხოლმე.

აზრადა აქვთ მომავალ შემოდგომაზედ სოხუმში გამოფენა გამართონ. ამ გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს სამეურნეო საზოგადოებაც.

*** გაზ. „მწყემსის“ სიტყვით, სიმართლეს მოკლებულია ის ამბავი, ვითომ ყოვლად სამღვდელო გრიგოლს სუხუმის ეპისკოპოსად ჰნიშნავენო.

*** პეტერბურგიდგან აცნობებენ გაზეთს „კავკასს“, რომ „მუხრანის“ შესყიდვა საუფლისწულო უწყების მიერ არ მოხერხდაო.

*** „Русскія Вѣдомости“ იუწყება, რომ მთავარ-მართებელი კავკასიისა თავადი გოლიცინი მიბრძანებულა პეტერბურგს 1-ს თებერვალს. მისი იქ მიბძანების საგანიო, ამბობს ხსენებული გაზეთი, სხვათა შორის ისიც არისო, რომ უმაღლესი სატეხნიკო სასწავლებელი რამ გაიმართოს კავკასიის ერთ ერთ დიდ ქალაქში: ვლადიკავკავში, ტფილისში ანუ ბაქოშიო.

*** ფოთი. 2 თებერვალს, საღამოს $10^3/_4$ საათზედ სახალხო მატარებლით მოვიდა აქ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბ-ნი გერშელმანი. სადგურზედ დიდ-ძალი საზოგადოება დაუხვდა და ფოთის ქალაქის მოურავის ნ. ნიკოლაძის ხელით პურ-მარილი მიართვა. ამის შემდეგ გუბერნატორი ქალაქის მოურავმა, პოლიცმეისტერმა და სხვა მოხელეებმა სასტუმრო კოლხიდაში მიაცილეს, სადაც პატივცემულ სტუმარს ღამე უნდა გაეთია. გუბერნატორმა ქალაქის გაცნობას მთელი ორი დღე მოანდომა. დაათვალიერა ყველა სკოლები და სხვა-და სხვა დაწესებულება, ქალაქის თვით მართველობის გარდა, დაიარა ქალაქის ზოგიერთი ნაწილები, განსაკუთრებით მეტი დრო მოანდომა ნავთ-სადგურის დათვალიერებას და იმისს გეგმას. 3 თებერვალს გუბერნატორს ქალაქმა სადილი გაუმართა ეპისკოპოსის სახლში. სადილად მიწვეულნი იყვნენ ყველა ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, ხმოსნები და სხ. სადილის დროს წარმოთქმულ სხვა სიტყვებს შორის საგულისხმოა ბ. გუბერნატორის სიტყვა. აი რა სთქვა მან: „მიხარიან, რომ აქ ყველა დაწესებულება რიგზეა დაყენებული და ურთი-ერთ შორის ის მეგობრული ქსელია გაბმული, რომელიც საერთო ძალას წარმოადგენს. უტყუარ ნიშანს ვხედავ იმისას, რომ ქალაქი დაწინაურდება, მით უმეტეს, რომ მას ასეთი მხნე მოურავი ჰყავს. ჩემის მხრივ მზადა ვარ ფოთის საქმეებს ხელი შეუწყო, რომ მალე გაიზარდოს და სრულიად აღორძინდესო“. 4 თებერვალს, საღამოს $5^1/_3$ საათზედ ქალაქის მოურავმა, პოლიცმეისტერმა და სხვებმა გუბერნატორი სადგურზედ მიაცილეს, საიდგანაც იგი ახალსენაკისაკენ გაემართა.

*** კიევი. თითქმის ყველა უნივერსიტეტის ქალაქებში იმართებოდა ქართული საღამო, მაგრამ კიევში დღემდის ვერ მოხერხდა. წელს პირველად გაიმართა ოდესსაში და შემდეგ კიევშიაც დააპირეს. ამ საღამოს შემოსავალი დანიშნულია ქართველ ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ. საღამოსათვის პეტერბურგიდგან მოწვეულია ბ-ნი მელიტონ ბალანჩივა-

მდგომარეობაში ქუთაისმა უნდა მოიკრიბოს თავისი ძალა და მიჰმართოს იმ ღონისძიებას, რომელიც უჩვენა გამოცდილებამ სხვა ქალაქებს.

შორს რომ არ წავიდეთ, გავიმაგალითოთ ტფილისი. ვიდრე ამ ქალაქის საბჭოს ეგონა, რომ ერთად ერთი საშუალება შემოსავლის მოსამატებლად ხარჯებისა და გადასახადების გამრავლებააო, მანამდე მისი ხარჯთ-აღრიცხვა ისეთივე მცირე და ულონო იყო, როგორც დღეს ქუთაისისაა. მაშინ წლიური შემოსავალი ძლივს აღემატებოდა 150,000 მანეთს. მერე-კი, როდესაც წაიბაძა წინ მაგალითი დაწინაურებულ ქალაქებისა, მაგალითად, პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევის და სხვანი, როდესაც მოჰკიდა ხელი ქუჩების მოკირწყვლას, გაიკეთა „სკვერი“, გამართა ცხენის რკინის გზა, გამოიყვანა მილის წყალი, გაიკეთა ხიდები, დააარსა ლომბარდი, საურთიერთო დამზღვევი საზოგადოება და ამისთანება, — მაშინ მისმა შემოსავალმა დღითი დღე დაიწყო საგრძნობელი ზრდა, ასე რომ ათის წლის განმავლობაში წლიურმა ბიუჯეტმა ერთ მილიონს გადაამეტა.

ტფილისის საბჭოს რომ ჰქა არ ულონიდეს გულსა, ნამდვილი წარმომადგენელი იყოს მთელის ქალაქის ინტერესებისა და არ ეტანებოდეს იგი მომაკვდინებელს ჰქის განცალკევებას და ცალმხრივობას, ეს ბიუჯეტი ერთი ორად მაინც მეტი იქმნებოდა, ამიტომ რომ მაშინ იგი მოიპოვებდა თანაგრძნობას ყველა მოქალაქისას და მთელის განათლებულ საზოგადოების დახმარებას და უეჭველია მთავრობაც ხელს შეუწყობდა ყოველს მის მიერ დაწყებულ საქმეს.

ამ მხრივ ქუთაისი სწორედ ბედნიერია. ასეთის ჰქის შიში აცდენილი აქვს და იქნება სამარადისოდაც. მაშასადამე, საკმარისია მისთვის დაადგეს სხვა ქალაქებისაგან ნაცადს გზას, რომ მკვიდრს ნიადაგზედ დაამყაროს თავისი კეთილ-დღეობა.

* * *

მკითხველს ეცოდინება, რომ ქუთაისმა უკვე იგრძნო ძლიერება ამ გზისა და თითქოს კიდეც წასდგა ერთი ნაბიჯი. მისმა საბჭომ წარსულის წლის 16 ნოემბერს მტკიცედ გადასწყვიტა ელექტრონით-მავალი გზები გაიყვანოს უმთავრესს ქუჩებზედ და ამით გაუადვილოს ხალხს მიმოსვლა. ვინ არ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის კეთილდღეობაში იაფსა და ადვილს მიმოსვლას, და ამიტომ ვინ არ მიეგებებოდა აღტაცებით ასეთს გარდაწყვეტილებას ქუთაისის საბჭოსას. ცოტა ხნის შემდეგ ხმა გაისმა, რომ იგივე ინჟენერი, რომელსაც ქუთაისი აძლევს გზის კონცესიას, აპირობს მილის წყალის გაყვანასა და ელექტრონით განათებას ქუთაისისასო.

სხვისა რა გითხრათ და მე-კი ამ ხმების გაგონებაზედ შევკაზმე ჩემი ოცნება, შევასხი ფრთები ჩემს ფანტაზიას და წარმოვიდგინე ქუთაისი მლიერ დაშორებულ მერმისიდამ კი არა, სულ ერთი ოთხი-ხუთის წლის შემდეგ. აგერ ელექტრონის ლიანდაგი დაასრიალებს ვაგონებს თითქმის ყოველ თვალსაჩინო ქუჩაზედ და კოხტად მიიკლაკნება არქიელის მთაზედ, სადაც ხელოვნებას სწორედ სამოთხისებურ გარდაუქმნია ბაღები და სადაც გამართულა საუცხოვო სასეირნო ადგილები. ამ ადგილებისკენ მიისწრაფის არა თუ ყოველი მცხოვრები ქუთაისისა, არამედ ყოველი სტუმარი და მგზავრად ჩამოსული, რომ დასტკბეს ცქერით საუცხოვო პანორამისა, რომელიც იქიდამ გადეშლება მაყურებელს საუცხოვო და ფართო მიდამოებისაკენ. ღამ-ღამეობით გაჩირაღდნებულია მთელი ქუთაისი და მაშინ ეს მთა წარმოადგენს რაღაც ზღაპრულ სიმშვენიერეს. ერთობ გამოცვლილა სადორიოს ტყეც. იგი ისე გალამაზებულა, რომ ყოველს ქუთაისელსა სცხვენიან ამ ტყის უხეირო სახელისა. აგერ საბჭოში აზრიც კი დაბადებულა, რომ „სადორიოს“ მაგიერ დაუძახონ „საჯეირნე“ და ამაზედ უფრო შესაფერი სახელი, ამიტომ რომ იქ ღორს აღარავინ გააწანებს, იქ მხოლოდ ირმებს, ჯეირნებს, მტრედებსა და ბულბულებს თუღა შეუშვებენ, თორემ სხვა პირუტყვს იქ აღარა აქვს ადგილი. დროების გასატარებლად დაიარება ქუთაისელი, რომელსაც უნდა სიმწარე ყოველდღიურის შრომისა გაიტკბოს იქ, იმ ტყეში, რომელიც ბუნებასა და ხელოვნებას საუკეთესო კუთხედ გარდაუქმნია.

ამაებს არ დასჯერებია ქუთაისი და ახლა ვითომც ჩასჭიდებია წყალტუბოს. აგერ ვითომც ნახევარზედ კიდეც გაუწყვია მილები, რომლის შემწეობითაც ეს მადლიანი წყარო უნდა ქალაქში გაიყვანონ და შიგ იმ საჯეირნოში გაჰმართონ აბანოები მთელის ქვეყნის უძლურთა მოსაჯანიერებლად. ამ გმირობის ხმა გავარდნილა მთელს დედამიწის ზურგზედ და ქუთაისის გამგეობას მოსდის დეპეშა დეპეშაზედ და ეკითხებიან, შეგვატყობინეთ, როდის იქმნება ეგ აბანოები მზადა, რომ წამოვიდეთ სამკურნალოდო. ამის მოლოდინში ქუთაისი ამზადებს უშველებელ სა-

ძე, რომელიც ამ ჟამად აქ არის და ამზადებს დასს და ორკესტრს. სალამო გამართული იქმნება 5 თებერვალს *). ადგილობრივმა გაზეთებმა შეიტყვეს თუ არა აქაურ ქართველების სურვილი, ქართულ სალამოს და მუსიკას უძღვნეს შენიშვნები. საზოგადოება დაინტერესებულია. იმის ამბავს, როგორც ჩაივლის სალამო, დროზედ შევატყობინებთ.

*** ოზურგეთი. ოზურგეთსა და ნატანებს შუა ძლიერ გაფუჭებულია ერთად-ერთი საეტლო გზა. საჭიროა ეხლავე გაკეთდეს ეს გზა, თორემ მერე უფრო გაძნელდება მისი გაკეთება და საშიშო არის ეტლი არ გადაბრუნდეს სადმე და მგზავრებს უბედურება არა დაემართოთ რა.

*** სად. სუმბატოვო. 5 თებერვალს, სალამოს 9 საათზედ, სახალხო მატარებელი № 5 ბორჯომის შტოზედ დაეჯახა მთიდგან ლიანდაგზედ ჩამოვარდნილ ქვას. დაშავდნენ მაშინისტის თანაშემწე ივანე რუხაძე და კაჩეგარი ვლადიმერ კვალიაშვილი.

*** სოფ. უკანგარონი, (კავკავის მაზრა). 11 იანვარს ამ სოფელში მოხდა ერთი დიდად სამწუხარო ამბავი. საქმე ასე იყო: ამ სოფლის მცხოვრებთ კუჩაევს და კესაევს თუმცა ახლო ნათესაობა აქვთ ერთმანეთში, მაგრამ, ოდესღაც ერთმანეთთან ჩხუბი მოსვლოდათ. ოსურ ჩვეულებისამებრ, უთუოდ უნდა გარდაეხადათ ერთი მეორისათვის წყენა და აი, კუჩაევის მოხუცი მამა შეხვდა კესაევს და ჯოხით ცემა დაუწყო. კესაევმა ჯერ უთმინა მოხუცს, მერე იძრო ხანჯალი, მოუქნია და ნეკი ოდნივ გაუჭრა. მოხუცმა ნეკში სისხლი რომ დაინახა, მორთო ყვირილი: მიშველეთ, მომკლა, მკლავი გამაგდებინაო. მოხუცის შვილმა გაიგონა, გამოვარდა რევოლვერით ხელში, წამოეწია კესაევს და დასცა რევოლვერი. კესაევმა იქვე ჩაიჩოქა და დაიყვირა. მიშველეთ ძმებო, მომკლესო! ახლა გამოვარდა კესაევის ძმა, წამოეწია ძმის მკვლელს, დასცა ხანჯალი და იქვე ჩააჩოქა. ამ ნაირად ერთის უგუნურ მოხუცის მსხვერპლი შეიქმნა ორი პატიოსანი ვაჟკაცი. უფრო სამწუხ[ა]რო ის არის, რომ ორ გვარში მტ[ერ]ობა უფრო გაძლიერდა.

*** გაზ. „კავ.“ სწერს: 5 თებერვალს თამამშევის ქარვასლაში შემდეგი ამბავი მოხდა: გრიგოლ ტერ-სააკოვის მეპაიესთან (№ 52) მივიდა ინჟინერის ლ. გ—ოს მეუღლე და მატყლი მოითხოვა. რადგან გ—ოს ფასი ეძვირა, ვაჭრობას თავი გაანება და წავიდა. ამის გამო სააკოვმა ქალს ლანძღვა-გინება დაუწყო. ქალმა მაჭმართის პოლიციას, რომელიც მაშინვე გამოძიებას შეუდგა. ეს პირველი მაგალითი არ არის, რომ ქარვასლის ვაჭრები უზრდელად ექცევიან მუშტარს. დროა ბოლო მოეღოს ქარვასლის ვაჭრების ასეთს თავგასულობასაო, დასძენს გაზეთი.

*** გაზ. „კავ.“ სიტყვით, ქ-ნმა ერმაკოვისამ თელავის ღვთის-მშობლის ეკკლესიას შესწირა 2,000 მანეთი.

*** ქუთაისიდგან სწერენ „ტიფ. ფურ.“-ს, რომ ამ ბოლოს დროს ქუთაისის გუბერნიაში დიდი წვიმებია. ეს წვიმები უშლის მუშაობას ხელი მიჰყონ.

*** ერევნიდგან სწერენ „ნორ-დარ“-ს, რომ ადგილობრივმა მდიდარმა თათრებმა ამხანაგობა შეადგინეს, რომელსაც აზრად „სარდა ბადის“ მინდვრის დამუშავება აქვს. ეს მინდორი უწყლო ადგილია, მდებარეობს სურმალინის მაზრაში და შეიცავს 148,000 დეს. მიწას. წყლის გაყვანა შეიძლება მდ. ახურიანიდგან. შეიძლება იქ ბამბის, ბრინჯის მოყვანა, ვენახების გაშენება. ამხანაგობას უნდა ეს მინდორი 90 წლით იჯარით აიღოს. ძირითადი თანხა ამხანაგობას 600,000 მანეთი აქვს.

*** როგორც ქალაქის ლაბორატორიის გამგის მიერ გამგეობაში წარდგენილის ცნობებიდგან სჩანს, ლაბორატორიას გაუშინჯავს 54 ნიმუში ძროხის ერბოსი და აღმოუჩენია 26 მათგანი მარგარინ შერეული და საზოგადოდ გაფუჭებული ყოფილა; 25 ნიმუში ძროხის რძე, აქედგან 14 გაფუჭებული აღმოჩნდა; 78 ნიმუში ფქვილი, მათგან 37 არეული ყოფილა ქერის, სიმინდის და სხვ. ფქვილი; 37 ნიმუში პურისა, აქაც 8-ში არეული ყოფილა სიმინდი, ქერი და სხვა, 133 ნიმუში იმ სალებავისა, რომლითაც კვერცხებს ჰღებავენ და 122 გაფუჭებული აღმოჩნდა.

*** ფოთიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს, რომ 3 თებერვალს, სალამოთი, აქ ცეცხლი წაეკიდა ბეჟან ჯორჯიკიას სახლს, სადაც მოთავსებული იყო სამი დუქანი და ფურნე.

*** 9 თებერვლისათვის ტფილისის სასამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად საქმე ეკატერინე ნონიკოვისა და იოსებ მურადოვისა, რომელთაც მეეზოვეობა ჰბრალდებათ. ოლქის სასამართლომ 1897 წლის 2 მარტს ისინი დამნაშავედ სცნო და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და საპყრობილეში დაპატიმრება: მურადოვს—10 თვითა და 20 დღით, ხოლო ნონიკოვისას—5 თვითა და 10 დღით.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებ[ა]ის გარდაეცა საქმე ბორჩალოს მაზრის მცხოვრებლის სარქის ტერ-სტეფანოვისა, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ განიზრახა რა ოლქის სასამართლოდგან საბუთის ქაღალდების მოპარვა, 1899 წლის 4 იანვარს შეიპარა სასამართლოს კანცელარიაში, მაგრამ ქაღალდების მოპარვა ვერ მოახერხა, რადგანაც დროზედ შეიპყრეს. ბრალდებული მეტეხის საპყრობილეშია დაპატიმრებული.

## რუსეთი

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ რუსეთი დიდს მონაწილეობას მიიღებს 1900 წლის პარიჟის მსოფლიო გამოფენაში. 25 იანვრამდე უკვე 218 სავაჭრო და სამრეწველო ფირმამ განაცხადა თანხმობა ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღებისა.

— გაზეთების სიტყვით შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საგუბერნიო გამგეობაში ცვლილებანი მოახდინონ. ამის შესახებ ცნობების შეკრებას სამინისტრო უკვე კარგა ხანია შეუდგა. გუბერნატორებმაც წარადგინეს თავიანთი მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ.

## უცხოეთი

**ინგლისი.** მთავრობის კანონ-პროექტში, რომელიც პარლამენტს წარედგინება განსახილველად, ხალხის განათლების საქმეს ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. კანონ-პროექტი შეეხება საშუალო და დაბალ ხარისხის სასწავლებლებს, და აგრეთვე შეიცავს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მირეულად შეიცვალოს საერო განათლების გამგეობა.

როგორც ვიცით, საერო განათლების საქმეს განაგებს ინგლისში საიდუმლო საბჭოს ცალკე კომიტეტი. საიდუმლო საბჭოს ლორდ-პრეზიდენტი საერო განათლების კომიტეტის პრეზიდენტადაც ითვლება, რომელიც ზედა პალატის წევრია. ეს ადგილი ეხლა უჭირავს დევანშირის ლორდს. ნამდვილად-კი საერო განათლების საქმეებს ხელმძღვანელობს კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ესწრება საზოგადოებათა პალატის კრებებს, მაგრამ კაბინეტის წევრად-კი არ ითვლება. მთავრობას ეხლა აზრად აქვს საერო განათლების განსაკუთრებული დეპარტამენტი დაარსოს, იმ დეპარტამენტების მსგავსი, რომელნიც განაგებენ სამრეწველო, სავაჭრომიცემო და სამიწად-მოქმედო საქმეებს. ამ ახალ დეპარტამენტის პრეზიდენტი იქნება საერო განათლების ნამდვილი მინისტრი. იმას ადგილი ექნება კაბინეტში და შეუძლიან წევრი იყოს ან ქვედა და ან ზედა პალატისა. უკანასკნელს შემთხვევაში მის მაგიერობას გასწევს საზოგადოებათა პალატაში საგანგებო ვიცე-პრეზიდენტი. ვინიცობაა, ამ დეპარტამენტის ადგილი საზოგადოებათა პალატის წევრმა დაიჭირა, რაიცა, ცხადია, უფრო ხშირად უნდა მოხდეს, ვიცე-პრეზიდენტი სრულებით არ იქნება საჭირო.

—

**ბოლგარია.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ახალ სამინისტროს ზოგიერთ წევრებს, სხვათა შორის, შინაგან საქმეთა მინისტრს რადოსლავოვს და იუსტიციისას—ტეშევს, განუზრახავთ სტამბულოვის მკვლელობის საქმის გადასინჯვა. სტოილოვის სამინისტრომ ამ საქმეს თავზედ ხელი დაავლო, ასე რომ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწის მკვლელები დაუსჯელად დარჩნენ. ეხლა თუ მართლა ხელმეორედ გაარჩიეს საქმე, სასამართლოს წარუდგენენ თურმე დიდძალს ახალ საბუთებს მკვლელობის შესახებ. მაგრამ ამბობენ-კი, რომ ამ საქმის განახლება დიდს განხეთქილებას ჩამოაგდებს მინისტრთა შორისო, რომლის ერთს წევრზე, ნაჩევიჩზე, ეჭვი ჰქონდათ ერთს დროს, რომ იგი თანაუგრძნობდა მკვლელებსო.

**ოსმალეთი.** ამას წინად გაზეთებში იყო ნათქვამი, რომ 100,000 კაცამდე სომეხ-გრიგორიანები და ნესტორიანები კათოლიკეთა სარწმუნოებაზედ გადავიდნენო. კონსტანტინეპოლიდგან აუწყებენ ეხლა „Fremdenblatt“-ს, რომ ეს რიცხვი გაზვიადებულია, ამდენ კაცს არ მიუღია კათოლიკობაო. კორესპონდენტის სიტყვით, ეს ამბავი შეეხება ვანის ვილაეტის დაბებს—გლორტარს, უურუბაშს და აჯერაკს, სადაც 3,000 გრიგორიანთა სარწმუნოების სომეხი სცხოვრობდა და აი, ესენი გადავიდნენ კათოლიკეთა სარწმუნოებაზედ. ზოგიერთ სხვა ადგილების მცხოვრებნ სომხებსაც გამოუცხადებიათ სურვილი კათოლიკობის მიღებისა, მაგრამ ჯერ ვერ შეუსრულებიათ ეს წადილი.

სომეხ-გრიგორიანების პატრიარქი ორმანიანი ამტკიცებს თურმე, რომ კათოლიკეებმა მატერიალური დახმარება აღმოუჩინეს გაჭირვებულ სომხებს და იმიტომ მიიღეს კათოლიკობაო. იმის შესახებ, რომ ვითომც კონსტანტინეპოლში მრავალი ნესტორიანი გარდასულიყოს კათოლიკეთა სარწმუნოებაზედ, არა ისმის-რა. პირ-იქით, ნესტორიანები მართლ-მადიდებელ სარწმუნოებისაკენ უფრო მიილტვიან, განსაკუთრებით რუსეთის საზღვრების მახლობლადო.

## დამკვირდი

მაღლატანებული სიყვარული მხოლოდ იმ დრომდე გასტანს, ვიდ[რ]ე მაღა მაღ-დამტანებლის ხელში.

* * *

ადამიანის სული ნაწილია იმ ცხოველ-მყოფელის ძალისა, რომელიც სამყაროს ასულდგმულებს, მაშასადამე, მისი სიკვდილიც შეუძლებელია, რადგანაც ადამიანის სული რომ კვდებოდეს, მაშინ სამყაროს გაქრობაც შესაძლებელი იქნებოდა.

ბ. დ—ლი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გაზეთებში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობები ლონდონის გაზეთის Times-ის შესახებ. პირველი ნომერი ამ გაზეთისა გამოვიდა 1788 წლის 1 იანვარს. მაშინ ეს გა-

---

*) ეს ჩვენ 6 თებერვალს მოგვივიდა.

რედ.

---

სახლეებს თითქმის ყოველ ქუჩაზედ და საბჭოს დამფასებლები ვეღარ ახერხებენ „ჩოტკაში“ გამოიყვანონ ის შემოსავალი, რომელსაც ქალაქის დაფასების ხარჯი ჰქვიან. ქალაქის სიმდიდრეს სათვალავი აღარა აქვს. ქუთაისის მოურავი ულვაშებში მალმალე ჩაიცინებს, რა-კი ჰხედავს, რომ მთავრობას წინააღმდეგი არა აქვსრა მაღალ სასწავლებლის გამართვისა ქუთაისში, უკეთუ ეს ქალაქი იკისრებს წლიურ ხარჯის ნახევარს მაინც. „ნახევარი-კი არა, იქნება მალე სრულსაც არ შეუშინდეს ჩვენი ბიუჯეტიო“, წამოიძახებს ხოლმე იგი და გადაჰხედავს გამრჯელ ხმოსნებს, რომელთაც თავისის მხნეობითა და შორსგამჭვრეტელობით შეჰქმნეს ასეთი სიმდიდრე ქალაქისა...

* * *

ასეთის ოცნებებით ვიყავი გართული, როდესაც გაზეთებმა ხმა დაჰყარეს, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ ახლა ქუთაისში ამოჰყო თავი და ყოველს ღონისძიებასა ჰხმარობს განზედ გააყენოს ინჟენერი მიხაილოვი და თვითონ ჩაიგდოს ხელში კონცესსიაო. მართალია, იგივე გაზეთები გვატყობინებენ, თუ როგორის კეთილშობილ გულისწყრომით უარ-ჰყო ქუთაისის საბჭომ წინადადება ბ-ნ რობისა, მაგრამ ჩემს ოცნებებს მაინც შეეკვეცა ფრთები.

რადაო? იკითხავთ.—იმიტომ, ჩემო ბატონებო, რომ ტფილისელებმეტად დაახლოვებით ვიცნობთ აი უსახელო საზოგადოებას. ფეხის შემოდგმისათანავე სულ თავ-ბედი გვაწყევლინა ამ საზოგადოებამ და ისე შეგვაჯავრა ყოველი კონცესსიონერი, რომ ტფილისმა მილის წყალიც კი არავის გადასცა და თითონ მოიკრიბა ძალ ღონე მის გასაკეთებლად. ვერ ვიტყვით, რომ შემოსავალს არ აძლევდეს მილის წყალი ტფილისის კასსას. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ეს ათი წელიწადია ფეხზედ ვერ დააყენეს იგი და ჯერ კიდევ ბევრი წელი ჩამოიძაფება, ვიდრე ეს მილის წყალი თავისს ღონეზედ დადგება, ამიტომ რომ ასეთს დიდ საქმეს დიდი ზურგიც უნდა. ტფილისს კი არა აქვს შეძლება გააფართოვოს იგი. ეხლა დღიური ხარჯი წყალისა ერთი ერთმანეთზედ არ აღემატება 400,000 „ვედრას“, მაშინ როდესაც კანცესსიონერის ხელში იგი გაიღებდა არა ნაკლებ ორის მილიონისა, ამიტომ რომ მოთხოვნილება დიდია. ჯერ მილიონზედ მეტი „ვედრა“ ავურხანებსა და სხვა ქარხნებს უნდათ, მაგრამ საიდამ მისცემს მათ ტფილისი ამოდენა წყალს. რიგიან კონცესსიონერს რომ აელო ეს საქმე, იგი იმავ თავით ისე მოაწყობდა, რომ ყოველ ქოხთანაც-კი გაეყვანა მილი, არა თუ ქარხნებთან. მაშინ, სხვა რომ არა იყოს რა, აღარ დასჭირდებოდა უშველებელი ხარჯი „მეკრანეებისთვის“ (მეონკანეებისათვის), რომელნიც დღეს ქუჩებში ჰყიდიან წყალსა. ტფილისის შემოსავალი ხომ ერთი სამად მაინც იმატებდა, იმიტომ რომ ქალაქს ხარჯის დარდი არ ექნებოდა და შემოსავალში კი ყოველ ათას „ვედროზედ“ ან ყოველ მანეთზედ შესაფერს წილს დაიდებდა.

ასე შეაძულა უსახელო საზოგადოებამ ტფილისს კონცესსიონერობა და სანატრელად გაუხადა დრო, როდესაც მას შეძლება მიეცემოდა ამ საზოგადოების კლანჭებიდამ თავი დაეღწია როგორმე. მთელმა ქვეყანამ იცის, როგორც დაიხსნა მისგან თავი ტფილისმა და როგორი თოკიც წაეჭირა მას ყელში.

აი, სწორედ ამ თოკის შიშმა შეჰკვეცა ჩემი ოცნება ქუთაისის წარმატებისა. მართალია, ქუთაისის საბჭომ 26 დეკემბერს უარჰყო უსახელო საზოგადოების ლათაიები, მაგრამ, როგორც ქუთაისიდგან გვატყობინებენ, ამ თვის რვაში და ნიშნულია ბ-ნ რობის ახალ წინადადების განხილვა. უეჭველია, ამ წინადადებას მოჰყვება მეორე წინადადება, მერეს მესამე და წავა ასე იქამდე, ვიდრე სულ-ერთიან არ ჩაიფუშება საქმე, ან რაიმე მახე არ დაეგება ქუთაისის თვით-მართველობას, როგორც დაეგო ტფილისისას, რომელიც 1895 წლიდგან მოკიდებული დღევანდლამდე ახალ ხელშეკრულობას მოანდომა ბ-ნმა რობიმ და რომელიც დღეს მოხარული იქმნება გაათაოს მასთან საქმე და შეეკრას ბევრად საზარალო პირობით, ვიდრე აძლევდნენ მას სხვა კონცესსიონერები, მხოლოდ სახელიანნი და არა უსახელონი.

ოთხ წელიწადს ქუთაისი ჯერ მარტო ლაპარაკს მოუნდება, მერე ამდენსავე მოახმარს უსახელო საზოგადოებასთან ბრძოლას, მერე ტფილისივით დასჭირდება თავისს მწარე ბედს და ამასობაში შემოიფრთხობს იმისთანა კონცესსიონერებს, რომელნიც ხრიკებით-კი არ იჭერენ ქალაქებთან საქმეს, არამედ ანგარიშით და მოგებაშიაც გამორკვეულ წილს უდებენ ქალაქებს.

ღმერთმა ჰქმნას, რომ ქუთაისი გამარჯვებული გამოსულიყოს ამ განსაცდელიდგან და ჩქარა გაერკვიოს გზა ქალაქის ნამდვილ წარმატებისა და კეთილდღეობისაკენ.

ძველი მეგობარი

ზეთი არაფრით განირჩეოდა სხვა გაზეთებისაგან. ამ წლიდგან წრევანდლამდე, ე. ი. 111 წლის განმავლობაში „Times" ყოველთვის დანიშნულ დროზე გამოდიოდა და არც ერთხელ ერთის წუთით არ დაგვიანებულა. მაგრამ, ვინ იცის, რამდენი ტანჯვა გამოიარა გაზეთმა. პირველსავე წელს გაზეთის პატრონი ჯონ ვალტერი 16 თვით ციხეში დააპატიმრეს. 1810 წელს სტამბის მუშები გაიფიცნენ და უარი სთქვეს მუშაობაზე. მაშინ ვალტერმა მოიწვია რამდენიც შეიძლო მუშები და იმათთან ერთად 36 საათის განმავლობაში იმუშავა. გაფიცული მუშები სახტად დარჩნენ, როდესაც ორშაბათს დილით გაზეთი დანიშნულს დროზე გამოვიდა. მეორედ კიდევ სამინისტრომ ბძანება გასცა Times-ს კორესპონდენციები. შინაარსს ნუ შეატყობინებთო. მაშინ ვალტერმა გამართა თავისი საკუთარი ფოსტა. ამ ჟამად Times-ს ყველა ქვეყნებიდგან კორესპონდენციები დეპეშით მისდის. სადაც ტელეგრაფი ჯერ არ არის გამართული, იქ კორესპონდენციას ფოსტითა ჰგზავნიან იმ ადგილამდე, სადაც ტელეგრაფი არის, ხოლო ამ ადგილიდგან-კი ლონდონში ტელეგრაფით იგზავნება, რამდენ ფულსა ჰხარჯავს ეს გაზეთი დეპეშებზე, შემდეგის მაგალითებიდგანა სჩანს. 1882 წელს კოლომბოდგან გამოგზავნილი დეპეშა ტონკინის შესახებ 40 ათას ფრანკად დაჯდა. იმავე წელიწადს ერთს კორესპონდენტს, რომელიც ალექსანდრიიდგან დეპეშებსა ჰგზავნიდა, დაეხარჯა 500 ათასი ფრანკი. არგენტინის რესპუბლიკაში რომ რევოლიუცია მოხდა, კორესპონდენტმა 50,000 ფრანკი დაჰხარჯა დეპეშებზე ორს დღეში.

* * *

შურის-ძიება აბა ესპანიელ ქალებსა სცოდნიათ!..

ესპანიასა და ამერიკის შორის ბრძოლის შემდეგ რომ ზავი იქმნა შეკრული, მეორე დღეს ქალაქ გრანადაში ესპანიელმა ქალებმა ქვები დაუშინეს ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლს, ამერიკა რად აღმოაჩინაო...

* * *

ინდოეთში თურმე მეტად ადრე ათხოვებენ ქალებს. ამ უკანასკნელ დროს მომხდარ მცხოვრებთა აღწერიდგან სჩანს, რომ 6,016,756 ბავშვი ყოფილა გათხოვილი 5—9 წლისა. ამათში 170,000 გათხოვილის ბავშვი კიდევაც დაქვრივებულა.

## გამოსადეგი ცნობა

როგორ უნდა გაიგოს კაცმა ღვინოში წამალი რამ ურევია თუ არა. ასწონეთ გამოსაცდელი ღვინო და წონის ნახევარი გლიცერინი ჩაასხით ღვინოში. თუ ღვინოს წამალი აქვს რამე, გლიცერინი ფერს შეიცვლის წითლადა, ყვითლად ან სხვა ფერად. თუ არავითარი წამალი არ ურევია ღვინოს, გლიცერინი ფერს არ შეიცვლის.

## ახალი წიგნები

1, რედაქციამ მიიღო „ანბანი მხატვრობით და ლოცვანი". მეორე გამოცემა უდაბურ წყალ-წმინდის ძმობისა. წიგნაკი ღირს ერთი შაური.

2, „საეკკლესიო გალობა" სამი წირვის წესი, მეცხრეები, აღდგომისა და მიცვალებულის რამდენიმე საგალობელი; გამოცემული გაბრიელ ბედენეიშვილის მიერ.

## გასართობი

### იდილია

მზე გადიხარა... აგერ ნახირიც,
შვშმ მაძღარი, სოფლად ბრუნდება...
გზიაზი სიკო კარებთანა სდგას
და საქონელის ცქერითა სტკბება.

ამ დროს მოესმა ცხენის ფეხის ხმა...
ვინ უნდა იყოს, თუ არ სტუმარი?..
ორი წუთიც და... სიკოს გვერდთ უდგა
მისი მოყვარე და მეგობარი.

—

— „ოჰ, გამარჯობა! შესძახა სიკომ:
რა გამეხარდა!.. შენა ხარ, თედე?!.
მე ნახირიდგან ვირს მოველოდი
და უცბად-კი შენ გამომეცხადე!"

ახ...

# დეპეშა

5 თებერვალი

**პეტერბურგი.** რადგანაც გაზ. „Петерб. Вѣдомости"-მა და „Русскій Трудъ"-მა გაჰკიცხეს მკაცრად ისტორიულის სიმართლის შებღალვით იერარქიული წეს წყობილება და მართვა-გამგეობა მართლ-მადიდებელის ეკკლესიის ყველა საქმეებისა, რაც განსაკუთრებით სჩანს წერილებიდგან, რომელიც დაბეჭდილია „Пет. Вѣд".-ის მე-33 №-ში სათაურით: „როგორ იქმნას აღდგენილი კანონიერი მართვა-გამგეობა და რუსთა ეკკლესიის კრებანი" და „Рус. Трудъ"-ის მე-5 №-ში „რა უნდა გაკეთდეს მსოფლიო კრებამდე".—შინაგან საქმეთა მინისტრმა, „საცენზ. წესდ." მე 144 მუხ. ძალით დაადგინა: გაზეთს „Пет. Вѣд." თავ. ესპერ უხტომსკის რედაქტორ-გამომცემლობის დროს გამოეცხადოს მეორე გაფრთხილება. ხოლო გაზ. „Русскій Трудъ"-ს სერგეი შარაპოვის რედაქტორ-გამომცემლობის დროს—მესამე გაფრთხილება და ამ უკანასკნელ გაზეთის გამოცემა შეჩერებულ იქმნას ერთის თვით.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოში დიუპუიმ განაცხადა, რომ ლუბემ კონგრესის შეკრება ხვალ ნაშუადღევის პირველ საათისათვის დაჰნიშნა ახალის პრეზიდენტის ამოსარჩევადაო. ბჭობის შემდეგ მინისტრები წავიდნენ ელისეის სასახლეში, რათა სამძიმარი გამოუცხადონ ფორის ოჯახობას. მიცვალებულის გვამის დაკრძალვას საეროვნო ხასიათი ექმნება. თეატრებში წარმოდგენები მოსპობილია.

**პარიჟი.** გაზეთები ფორის მიცვალების შესახებს სჯაში არიან. ისინი ჰმოწმობენ, რომ თავისის თავაზიანობით, ქველმოქმედებით, მამულის მოყვარეობით და იმ მისწრაფებით, რომ საფრანგეთის ღირსეული წარმომადგენელი ყოფილიყო სხვა სახელმწიფოთა წინაშე, ფორმა შესძლო და გული მოიგო ფრანგთა უმრავლესობისაო. გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ საქმეთა ეხლანდელ ვითარებაში ფორის გარდაცვალებას განსაკუთრებით შესამჩნევი მნიშვნელობა აქვსო. რესპუბლიკელთა გაზეთები კონგრესის რესპუბლიკელ წევრთ ურჩევენ შეერთებას. იმათ შორის, რომელთაც ასახელებენ რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატად, აღსანიშნავნი არიან უპირველესად ლუბე, დიუპუი, ფრეისინე და მელინი და შემდეგ დეშანელი, ბრისსონი, ბურჟუა, კამბონი და კონსტანი. დღეს მინისტრები შეიკრიბნენ დასაფლავების დღის დასანიშნავად. კონგრესსი ხვალ შეიკრიბება ვერსალში.

**პარიჟი.** პრეზიდენტის ფორის უეცრად გარდაცვალების ამბავი კარგა ნაშუაღამევს გაისმა. ამ ამბავმა ყველანი დაალონა, მაინც-კი ქუჩებში მშვიდობიანობაა. ხვალ, ნაშუადღევის პირველ საათზედ, ვერსალში კონგრესსი შეიკრიბება ახალის პრეზიდენტის ამოსარჩევად. თავადი ურუსოვი და რუსეთის საელჩოს ყველა წევრნი იყვნენ ელისეის სასახლეში. მიცვალებულის გვამს მომავალს ხუთშაბათს დაჰკრძალავენ. წირვას გარდაიხდიან დიდის ამბით ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის ტაძარში. ფორის გვამის დაკრძალვაზედ დასასწრებლად გერმანიის იმპერატორი სავანგებო მისსიასა ჰგზავნის. იმპერატორმა ქ-ნს ფორს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა და, ამას გარდა, გრაფ მიუნსტერს მიანდო კუბოზედ გვირგვინის დადება. ფორის გვამი უკვე შემურეს. მინისტრები ხელახლად შეიკრიბებიან ნაშუადღევის 5 საათზედ შინაგან საქმეთა სამინისტროში. გვამს დაჰკრძალავენ Pére-Lachaise-ს სასაფლაოზედ. დღეს დეპუტატებს მხოლოდ იმის შესახებ ჰქონდათ baasi, თუ რომელი კანდიდატი იქმნება არჩეულიო. განსაკუთრებით სალაპარაკო საგნად იყვნენ ლუბე, მელინი და დიუპიუი, რომელთა არჩევანი უფრო მოსალოდნელია. როგორცა სჩანს, რადიკალები და სოციალისტები ლუბეს მხარეს დაიჭერენ. დასები სამის საათისათვის არიან მოწოდებულნი. პარიჟი ჩვეულებრივს სანახაობას წარმოადგენს. სრული მშვიდობიანობაა. პროვინციიდგან მოსული დეპეშები აღნიშნავენ, რომ მწუხარებით მოუსმენიათ ყველგან ფორის გარდაცვალების ამბავი. სახელმწიფო შენობათა გარდა, მრავალს კერძო შენობაზედაც არის გამოკიდებული სამგლოვიარო ბაირაღი. ელისეის სასახლეში და შინაგან საქმეთა სამინისტროში დიდ-ძალი დეპეშა მოვიდა პროვინციიდგან და საზღვარ-გარეთიდგან. შემურვის შემდეგ მიცვალებულს შავი ფრაკი ჩააცვეს და საპატიო ლეგიონის ლენტი გაუკეთეს. გვამი ასვენია თეთრს ლოგინზე განსვენებულის სამუშაო კაბინეტში. შემდეგ გადაასვენებენ დიდს დარბაზში, რომელიც სამგლოვიაროდ უკვე მომზადებულია. ელისეის სასახლის ეკკლესიაში გარდახდილს ღვთის-მსახურებას დღეს თვით ქ-ნი ფორი დაესწრო ქალიშვილებითურთ.

დეპუტატთა პალატა. დიდ ძალი საზოგადოებაა შეკრებილი. ტრიბუნები შავის ძაძით არის შემოსილი. დეშანელმა განაცხადა,—მაღელვებს ის ფიქრი, რომ კრებას ასეთს გარემოებაში ვიწყებო. შემდეგ პრეზიდენტმა წაიკითხა დიუპუის წერილი, რომელშიაც გამოცხადებული იყო ფორის გარდაცვალების ამბავი, მერე განსვენებულის პატივსაცემლად შესხმითი სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ყველა ფრანგნი უნდა შეკავშირდნენ მიცვალებულის კუბოს გარშემოო (ტაშის ცემის ხმა გაისმის). დეშანელმავე წაიკითხა ლუბეს წერილი იმის შესახებ, რომ კონგრესსი ხვალ შეიკრიბება ვერსალში ნაშუადღევის პირველს საათზეო. დასასრულ დეშანელმა წინადადება მისცა, რომ კრება დაიშალოს მგლოვიარობის ნიშნადაო. დეპუტატები ერთ ხმად დაეთანხმნენ და წყნარად დაიშალნენ.

**ბომბეი.** „Times of Jndia" იუწყება: „ეჭვი არ არის, რომ მართალია, და უნდათ მასკატის სანახშირე სადგური საფრანგეთს დაუთმონო. საპოლიტიკო პრეზიდენტი სპარსეთის ყურესი პოლკოვნიკი მიდი 25 იანვარს მასკატში იყო და მას შემდეგ ყოველ დღე ხანგრძლივი baasi ჰქონდა სულთანთან. 30 იანვარს სულთანმა ულტიმატუმი დაუდო. პასუხს იმავე დღეს ელოდნენ.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. განსახილველად დანიშნულ საგნების გასინჯვამდე იმპერიის კანცლერმა განაცხადა: „უნდა ვაუწყო დიდებულს პალატას, რომ გუშინ საღამოს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უცბად გარდაიცვალა წვეთის დაცემით. დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიის ერის წარმომადგენელნი გრძნობით შეერთებულნი არიან იმპერატორთან და მოკავშირე მთავრობებთან საფრანგეთის ერის მიმართ გულწრფელ, გულითად თანაგრძნობის გამოცხადების საქმეში; საფრანგეთის ერი გლოვს სიკვდილს იმა კაცისას, რომელიც, სახელმწიფოს მეთაური იყო რა, ყოველთვის თავ-გამოდებული იყო მშვიდობიანობის დიდებულის ინტერესისათვის და ხელს უმართავდა ერის კეთილად წარმატებას. გვახსოვს რა საზოგადო კავშირი, რომლითაც შეერთებულნი არიან ყველა კულტუროსანნი ერნი, ჩვენც გამოვთქვამთ მწუხარებას იმ დანაკარგის გამო, რომელიც ეწვია საფრანგეთის ერს, და ეს ერი-კი ყოველთვის დიდი ბურჯი იყო ცივილიზაციისა". კანცლერის სიტყვა ყველა დასის წევრმა ფეხზედ მდგომარე მოისმინეს.

**ბერლინი.** სტატს-სეკრეტარი ბიულოვი ხანგრძლივ სასამძიმრო დარბაზად იყო საფრანგეთის ელჩთან.

6 თებერვალი

**პარიჟი.** პალატის რესპუბლიკელ-პროგრესისტთა ჯგუფმა, რომელთა წევრნიც 80-მდე შეიკრიბნენ, რესპუბლიკის პრეზიდენტის კანდიდატად დაასახელა მელინი. ჯგუფმა მემარცხენე დემოკრატებისამ, რადიკალ-სოციალისტებისამ, პროგრესიულ კავშირის სოციალისტებისამ, კანდიდატად ლუბე დაასახელა და დელეგაციები აირჩიეს, რომ ლუბესათვის ეცნობებინათ ეს გარდაწყვეტილება. სენატის მემარცხენეთა ჯგუფმა საერთო კრებაზედ ყველა დამსწრე სენატორთა ხმით შეიწყნარა კანდიდატად ლუბე, სენატში იმ აზრისანი არიან, რომ ლუბეს არჩევანი უზრუნველ-ყოფილიაო.

**პარიჟი.** თუმცა ზოგიერთმა დეპუტატებმა სთხოვეს დიუპიუის, რომ კანდიდატობის სურვილი განაცხადეო, მაინც დიუპიუიმ უარი განაცხადა ლუბეს წინააღმდეგ კანდიდატობა გამოეცხადებინა.

**პარიჟი.** ლუბემ თანხმობა განაცხადა კანდიდატობისა.

**პარიჟი.** პალატის ჯგუფთა გარდაწყვეტილებისა გამო მელინმა უარი სთქვა კანდიდატობისა. ლუბემ, როდესაც იმასთან პალატის წევრთა ჯგუფნი მივიდნენ და სთხოვეს უარი არ ეთქვა და რესპუბლიკის პრეზიდენტის კანდიდატობა ეკისრა,—სთქვა, რომ თუ ამორჩეულ ვიქმენ, განსაკუთრებით რესპუბლიკის დაცვას მოვახმარებ ჩემს ცდასა და ღონესაო. მოხარული ვარ, რომ რესპუბლიკის მომხრენი ასე შეერთებულან და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ერთობა მტკიცე იქმნებაო.

**პარიჟი.** თუმცა მელინმა გარდასწყვიტა უარი ეთქვა კანდიდატობისა მაინც რესპუბლიკელ-პროგრესისტთა ჯგუფი არ დაეთანხმა იმ შემთხვევისათვის, თუ საქმეთა მდგომარეობა შეიცვლება. რესპუბლიკელ-პროგრესისტნი შეიკრიბნენ საღამოს $9^1/_2$ საათზედ და ერთ-ხმად დაადგინეს კანდიდატად დაასახელიან მელინი და დაავალონ თავისს ბიუროს, რომ იგი შეეთანხმოს ამ საგნის შესახებ სენატის პროგრესისტთა ჯგუფს *).

## წერილი რედაქციის მიმართ

გულითად მადლობას ვუძღვნი ყველა იმათ, რომელთაც ხარკოვის უნივერსიტეტის ერთის ღარიბის სტუდენტის სასარგებლოდ შემოსწირეს ფული. სია შემომწირველთა: კნ. ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა, კნ. ბარბარე მაკარის ასული თარხან-მოურავისა, კნ. მ. არღუთინსკისა, ქ-ნნი სოფიო დოდაშვილისა, პ. ანტ. დაფქვიაშვილისა, კნ. ბაუკა წერეთელი, კნ. ანეტა მხეიძე, კნ. კეკელა ერისთავი, კნ. ნატალია ანდრონიკაშვილისა კნ. ბარბარე მაღალაშვილისა, კნ. ბარბარე ამირეჯიბი, კნ. ეკატერინე ბარათაშვილისა, ქ-ნი მირზაშვილისა და ბ-ნი სვიმონ ჯუღელი. შემოსწირეს სულ ორმოცი მანეთი, რომელიც დანიშნულებისამებრ გაგზავნილ იქმნა.

მარიამ დემურია

## „ივერიის" ფოსტა

**ია. ძ—ძეს** „ნაწყვეტები" არ დაიბეჭდება.

**ა. ბ—ძეს.** „ორი სურათი" არ დაიბეჭდება.

**დ. ო—თი მ. ჯ—ძეს.** „ჩიტი ბდღვნად არა ჰღირდა, უკან დევნა მეტი იყოვო".

**ბენიამენ სუფსისპირელს.** არ დაიბეჭდება.

**მწირს.** ლექსები არ დაიბეჭდება.

**შ. დ—იანს.** თითონ იმ რედაქციას მიჰმართეთ, რომელმაც შეცდომით დაჰბეჭდა თქვენი წერილი.

**ქ. ბ—იოვს.** არ დაიბეჭდება.

**ქვიტირელს.** არ დაიბეჭდება.


# განცხადებანი

# დაიკარგა
## ორი გასაღები კასსებისა.

ვინც იპოვნის, ვთხოვთ წარადგინოს გ. ს. ივანოვის გამსესხებელ კასსაში. მპოვნელს მიეცემა 5 მანეთი ჯილდო. (1—14—1)

# მკერვალი
ევროპიულის ტანისამოსისა
## ივანე სვანიძე

გადავიდა დოლის-მელიქოვას ქუჩაზედ, ზუბალოვის სახლებში, სასულიერო სემინარიის პირდაპირ, № 4. (6—1)


*) დაგვიანებისა გამო პეტერბურგიდგან მოსული დეპეშა, რომელიც ფინლიანდიას შეეხება, არ იბეჭდება. რედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 6 го Февраля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე